

ოქმი № 3

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2021 წლის 25 მარტს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:30 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – ბ. ხურცია, მ. ადამია, ი. ქორიძე, ზ. სანაია, ნ. შამათავა.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი: მ. ჯანაშია.

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე – ბ. ხურცია.

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ სენაკში ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 50 ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილი/წერტილის სს „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თნხმობის და წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 5; წინააღმდეგი – 0). სენაკი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღისწესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. „ქალაქ სენაკში ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 50 ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილი/წერტილის სს „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თნხმობის და წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - „ქალაქ სენაკში ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 50 ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილი/წერტილის სს „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თნხმობის და წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

კომისიის წევრებმა განიხილეს რა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 5, წინააღმდეგი - 0) ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. განკარგულების პროექტი - ქალაქ სენაკში ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 50 ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილი/წერტილის სს „სილქნეტისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თნხმობის და წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ - წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე:

ბადრი ხურცია